საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №76
2022 წლის 21 ნოემბერი

ქ. თბილისი

,,სახელმწიფო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირების, აღრიცხვის და სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების და სახელმწიფო საჰაერო ხომალდებზე ეროვნულობის ამოსაცნობი ან სხვა ნიშნების აღნიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 22 ნოემბრის №71 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,სახელმწიფო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირების, აღრიცხვის და სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების და სახელმწიფო საჰაერო ხომალდებზე ეროვნულობის ამოსაცნობი ან სხვა ნიშნების აღნიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 22 ნოემბრის №71 ბრძანებით (ვებგვერდი, 25/11/2021; სარეგისტრაციო კოდი: 120340000.22.026.016927) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 ქვეპუნქტები:

,,1^1. რეესტრიდან ხომალდი ამოიღება, თუ ამ წესის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე ხომალდის მფლობელმა სამინისტროს წერილობით აცნობა, რომ ხომალდი აღარ წარმოადგენს ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ხომალდს/შეიცვალა ხომალდის დანიშნულება.

1^2. რეესტრიდან ხომალდის ამოღების შემთხვევაში გამოიყენება ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ჯუანშერ ბურჭულაძე**